სპ

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

19 იანვარი, შაბათი, 1991 წ.
№ 10 (10 422) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ვაგრძელებთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მიღებული დოკუმენტების პუბლიკაციას.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ თენგიზ სიგუას

როგორც მოგეხსენებათ, 1989 წლის 6 ოქტომბერს შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი (სეოკ-ი), რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზაზე.

ოლიმპიური იდეალების პროპაგანდასთან ერთად სეოკ-ის მიზანია მიაღწიოს მის აღიარებას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ, ხელი შეუწყოს მსოფლიო ასპარეზზე, პირველ ყოვლისა კი — ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს სპორტული პოტენციალის სრულად წარმოჩენას, რესპუბლიკის სპორტსმენთა გამოსვლას საქართველოს დროშით. სეოკ-ი მტკიცედ და შეუპოვრად იბრძოლებს ამ მიზნების განსახორციელებლად, რაშიც მას აუცილებლად დასჭირდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თანადგომა.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი გთხოვთ, უახლოესი ორი თვის განმავლობაში, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ განიხილოს სეოკ-ის საქმიანობა და მიიღოს სპეციალური დადგენილება მისთვის ხელშეწყობის შესახებ, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, გათვალისწინებული იქნება:

1. სეოკ-ის მუდმივი დოტაცია როგორც საბჭოთა, ისე თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტით;

2. სეოკ-ის შეტანა იმ ორგანიზაციათა სიაში, რომელთათვისაც საქველმოქმედო მიზნით თანხების გამღები წარმოება-დაწესებულებები და უწყებები თავისუფლდებიან სახელმწიფო ბეგარისაგან;

3. სეოკ-ისათვის შესაფერისი შენობის გამოყოფა დედაქალაქის ცენტრში.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი აღუთქვამს სრულიად საქართველოს, რომ ღირსეულ წვლილს შეიტანს ქართული სპორტის სუვერენიტეტის დამკვიდრებისა და საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

ნონა გაფრინდაშვილი,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი.

მიმართვა

მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს და სპორტულ საზოგადოებრიობას

ძვირფასო მეგობრებო!

თქვენთვის, რა თქმა უნდა, კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირის ოლიმპიური მოძრაობა დღეს, როცა რამდენიმე რესპუბლიკაში უკვე შეიქმნა ან აღორძინდა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტები, ფაქტობრივად, ნონსენსია. ეს არის საბჭოთა კავშირში დღესდღეობით შემავალი რესპუბლიკების სპორტული და ოლიმპიური მოძრაობების ხელოვნური და მექანიკური გაერთიანება, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება ოლიმპიურ ქარტიას, არსებული საბჭოთა კონსტიტუციით ბოძებულ რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებებს და ხელს უშლის ცალკეულ რესპუბლიკათა სპორტული თუ ოლიმპიური პოტენციის წარმოჩენას საერთაშორისო ასპარეზზე.

— იმისათვის, რომ ყველა რესპუბლიკამ თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო ოლიმპიურ მოძრაობაში, აუცილებელია ყოველი რესპუბლიკის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მიაღწიოს სრულ დამოუკიდებლობას;

— იმისათვის, რომ თითოეულმა რესპუბლიკამ მიაღწიოს სპორტულ დამოუკიდებლობას, უწინარეს ყოველისა, საჭიროა გადაიკრას რესპუბლიკათა სპორტული ფედერაციების საკავშირო ფედერაციებიდან გამოყოფის საკითხი;

— იმისათვის, რომ სპორტულმა ფედერაციებმა მოიპოვონ დამოუკიდებლობა, საჭიროა ერთიანობა და ერთსულოვნება რესპუბლიკებს შორის, პოზიციის მტკიცე და ერთობლივად დაცვა ცენტრთან დამოკიდებულებაში;

— იმისათვის, რომ ეს ყველაფერი რეალობად ვაქციოთ და შევინარჩუნოთ საკუთარი სპორტული ტრადიციები, აუცილებელია ერთობლივად მოვითხოვოთ საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში ჩვენ-ჩვენი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების გაწევრიანება, საერთაშორისო და რეგიონულ თამაშებში საკუთარი დამოუკიდებელი გუნდებით მონაწილეობა.

სეოკ-ი იმედოვნებს, რომ ჩვენი წინადადებები გაგებით იქნება მიღებული და მათი განხორციელება ხელს შეგვიწყობს რესპუბლიკათა სპორტული მოძრაობების საერთაშორისო ასპარეზზე გასვლაში.

ყველას გვაქვს მსოფლიო სპორტულ სამყაროში საკუთარი თავის წარმოჩენის უფლება. გვახსოვდეს: ამ უფლების განხორციელება და დაცვა მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს ხელთაა!

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.

შეიქმნა ეროვნული თავდაცვის ფონდი. ფონდის სახელზე აგრომრეწვბანკის საქართველოს ყველა რაიონულ და საქალაქო განყოფილებაში თანხა შეგიძლიათ ჩაიტანოთ

მე-700

ანგარიშზე.

თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.

● თბილისის „ადიდასის“ სპორტნაწარმის ექსპერიმენტული ფაბრიკის ხაამჭროს თანამშრომლებმა პირადი დანაზოგის ხარჯზე შეაგროვეს და ეროვნული თავდაცვის ფონდში შეიტანეს 6 200 მანეთი.

ზ. ქორიძე,
კომერციული დირექტორი.

● ახალციხის საკოლმეურნეო ბაზრის კოლექტივმა ეროვნული თავდაცვის ფონდში გადარიცხა 500 მანეთი.

ჟუჟუნაძე (დეპეშით).

სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი: საქართველოს მრეწველობანკის საოპერაციო სამმართველო სფბ № 521921

00700750

თანხის გადარიცხვის თაობაზე გვაცნობეთ.

სამაჩაბლოს აღორძინების ფონდი ეროვნულ ფონდად იქცა!

● **საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მთავარი სამეურნეო სამმართველოს საპროექტო სამრეწველო სამშენებლო გაერთიანება — 20 000. გაერთიანების კოლექტივმა ივალდებულა უხასყიდლოდ ააშენოს ერთი საცხოვრებელი სახლიც (გვაცნობა შ. შესხმა, დეპეშით).**

● თბილისის სსგ „ელმავალმშენებლის“ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო — 20 000 (დეპეშით, ცხადაძე).

● **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ცენტრი „არგონავტები“ — 2 000 (ნ. ჩხეიძე).**

● მთაწმინდის რაიისაბჭოს აღმასკომის საბინაო საექსპლუატაციო ტრესტის სარემონტო-სამშენებლო უბანი — 1 500 (ი. დოგრამაჯილი).

● **ვაზუსტებთ: თბილისის სპორტკომიტეტმა „სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში“ გადარიცხა არა 500, როგორც ეს ადრე გაუწყეთ, არამედ 5 000 მანეთი.**

ოჩამჩირე

საკონსერვო ქარხანა — 15 000 (დეპეშით, მელაძე).

გათუმი

ფირმა „საქართველო“ — 1 000 (დეპეშით, ს. კუნჭულია).

ოზურგეთი

ძმამთის ჩაის ფაბრიკა — 2 000 (დეპეშით, კუნჭულია).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარს ამბობენ

როგორც გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, მსოფლიო ჩემპიონატი საციგაო სპორტში, რომელიც სიგულდაში (ლატვია) უნდა ჩატარებულიყო, გერმანიაში გადადიტანეს. ახლა ცნობილი გახდა, რომ 21—28 იანვარს ჩემპიონატი ვანტერბერგერის ხელოვნურ ტრასაზე გაიმართება.

მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამო ლატვიაში ჩასვლაზე უარი განაცხადეს აშშ-ის, იტალიის, საფრანგეთისა და გერმანიის გუნდებმა, აგრეთვე აკრედიტებულმა ჟურნალისტებმა.

ლატვიის დედაქალაქსა და სხვა ქალაქებში დროებით გადატანილია ყველა სახის სპორტული შეჯიბრებები. ლატვიის კალათბურთის ფედერაციის განცხადებით, რესპუბლიკის გუნდები 1 თებერვლამდე საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობას არ მიიღებენ.

ანალოგიური განცხადებებით გამოვიდნენ ხელბურთელები და სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენლებიც. იუნიორმა ბობსლეისტებმა კი უარი თქვეს საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლაზე. ეს გუნდი, როგოც ცნობილია, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებისთვის ემზადებოდა.

მატიანე



დავით კვაჭაძე არასდროს ყოფილა ბოლმიანი კაცი, თუმცა გულდასაწყვეტი ცხოვრებაში უთუოდ ჰქონდა. 1976 წელს მონრეალის ოლიმპიურ თამაშებზე მის ნაცვლად სხვა მოკრივე წაიყვანეს. რა თქმა უნდა, უსამართლო გადაწყვეტილება იყო. დავითმა წყენა გულში ჩაიკლა და ახალი სეზონისთვის დაიწყო სამზადისი.

რევანშის ჯერი მალე დადგა, 1977 წელს, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ჰალეში ევროპის მორიგი ჩემპიონატი გათამაშდა... ამ ტურნირის მსვლელობას ჩვენ, ქართველი გულშემატკივრები, თვალს ცისფერ ეკრანზე ვადევნებდით და, ბუნებრივია, დავითს ვქომაგობდით.

...წყვილები წყვილებს ცვლიდნენ, ზოგი გალახული ტოვებდა რინგს, ზოგი — ბედნიერი ღიმილით... ეკრანზე დავით კვაჭაძე გამოჩნდა და დარბაზმა ქართველ მოკრივეს ერთსულოვანი ტაში შეაგება. გასაგები პოპულარობა იყო. კვაჭაძემ ისე იოლად გაიკაფა გზა ფინალისკენ, ისე ადვილად „აუარა ფვერდი“ ყველა პრეტენდენტს, რომ მაყურებლისთვის მთავარ ფავორიტად გადაიქცა.

გერმანულმა პრესამ ჩვენი თანამემამულის ოსტატობას მაღალი შეფასება მისცა. მის „მუშაობას“ რინგზე კი „ლამაზი ცეკვა“ უწოდა: მაგრამ დავითმა დაამტკიცა, რომ ცეკვაც მოხდენილი იცოდა და დარტყმაც საოცრად მწარე ჰქონდა. ამის ერთი დასტური გახლდათ ფინალამდე მოპოვებული ორი ლამაზი გამარჯვება.

ფინალში ქართველ მოკრივეს ერთობ უხერხული მეტოქე შეხვდა, ადგილობრივი მოკრივე ზაჭე, რომელიც ერთთავად იმის ცდაში იყო, როგორმე აეცილებინა დარტყმები. თვითონ შეტევაზე არ ფიქრობდა, მაგრამ არც დავითს აძლევდა შეტევის საშუალებას. არიან ამ ყაიდის მოკრივეები: რინგზე უფრულად მოქმედებენ და მხოლოდ მოწინააღმდეგის შეცდომას ელოდებიან...

მაგრამ ფინალში ასეთ საჩუქარს გერმანელ მოკრივეს ვინ მიართმევდა — კვაჭაძის უპირატესობა ამ ბრძოლაში აშკარა იყო და მსაჯთა ბრიგადამაც, ცხადია, გამარჯვება მას მიანიჭა.

პირველად ქართული კრივის ისტორიაში გამარჯვებულს უმაღლეს საფეხურზე ავიდა დავით კვაჭაძე. დიახ, არაფერი „არ შეგვშლია — ევროპის ჩემპიონი მანამდე არც ერთი ქართველი მოკრივე არ ყოფილა.

ფოტოზე აღბეჭდილია ნახევარფინალური შეხვედრის ფრაგმენტი ფინელ რაუნო პელიკანენთან. აი, ამ ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ გაუხსნა დავითს გზა ფინალისკენ, სადაც მას, ოტომარ ზაჭსე (გდრ) ელოდებოდა...

ახალი შემადგენლობა

გაიმართა საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში იყო პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობისა და პრეზიდენტის არჩევნები, აგრეთვე მწვრთნელთა საბჭოს, ტექნიკური კომისიის, მსაჯთა კოლეგიის გადახალისება და ახალი წესდების დამტკიცება.

ფარული კენჭისყრით საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს წარსულში სახელოვანი ველოსიპედისტი, მსოფლიოს ექსჩემპიონი ომარ ფხაკაძე, საპატიო პრეზიდენტად კი ო. ქვილითაია. კენჭისყრითვე აირჩიეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტები ანზორ ეიკინაძე და იოსებ გოცირიძე. საქართველოს ველოსპორტის ფედერაციის გენერალურ მდივნად არჩეულია შალვა სალარეიშვილი.

მეგახსოვხართ, ჩემპიონებო!

გოგონა, რომელიც სახლიდან გაიპარა

რა ხშირად ხდება ასე: დიდი სპორტსმენი სპორტში შემთხვევით „მისულა“. ეს რუსუდან სიხარულიძეზეც ითქმის. ბათუმში დაბადებული გოგონა, რომელსაც ზღვის ლურჯი ტალღები და მათთან ჰიდილი იტაცებდა, ერთ დროს სერიოზულად ფიქრობდა — თუ სპორტსმენი გავხდები, აუცილებლად მოცურავეო, მით უმეტეს, ყველაფრის ნოლიდან დაწყება არ სჭირდებოდა — თევზივით აპობდა აქოჩრილ ტალღებს, მაგრამ ბედი თურმე სულ სხვას უმზადებდა.

რუსუდან სიხარულიძე ბათუმის მე-2 საშუალო სკოლაში სწავლობდა და მრავალი მოსწავლის მსგავსად სხვა საგნებზე მეტად ფიზკულტურა უყვარდა. თუ ფიზკულტურა სასწავლო ცხრილით დღის ბოლო გაკვეთილი იყო თანაკლასელებთან ერთად გვიანობამდე რჩებოდა დარბაზში და ხალისით, ასრულებდა სხვადასხვა სახის ტანვარჯიშულ ელემენტებს. ერთ დღეს მის მალაყებს შეესწრო ამავე სკოლის უფროსი კლასების ფიზკულტურის მასწავლებელი, სპეციალობით სპორტული ტანმოვარჯიშე ანგელინა გაბრიაძე და ძალიან მოეწონა მოქნილი გოგონა. მეორე დღეს თავის მოწაფეს ანატოლი სიხარულიძეს — რუსუდანის ძმას სთხოვა, შენი და მოიყვანე ჩემთან დარბაზშიო. ანატოლიც არ დაფიქრებულა და იმ დღესვე მიჰგვარა რუსუდანი ანგელინა მასწავლებელს. მან „გასინჯა“ ახალბედა, შეასრულებინა მარტივი ტანვარჯიშული ილეთები და კმაყოფილმა შემდეგი დღისთვის დაიბარა შეგირდი. მაგრამ სახლში დაბრუნებულ რუსუდანს კუნთები ასტკივდა, თავი შეუძლოდ იგრძნო (სპორტული, დახვეწილი სისტემით ვარჯიში ხომ უცხო იყო მისთვის) და, მშობლების დაჟინებული მოთხოვნით, აღარ წავიდა მორიგ ვარჯიშზე. თუმცა, ანგელინა გაბრიაძემ, რაკი ნახა, რომ პერსპექტიული მოზარდის „ხელში ჩაგდება“ შეეძლო, კვლავ მიაკითხა რუსუდანს და მშობლების უწუმრად, სხვა სასწავლო დისციპლინების ხარჯზე, ავარჯიშებდა სკოლის დარბაზში.

რამდენიმე თვემ განვლო ამ „ნამალავ“ ვარჯიშებში. ახალბედა ტანმოვარჯიშემ სრულყოფილად შეითვისა დამწყებისთვის სავალდებულო ილეთები; ახლა საჭირო იყო უფრო სერიოზული წვრთნა. ამას კი იარაღები სჭირდებოდა, რის საშუალებასაც ბათუმის მე-2 სკოლის დაბალჭერიანი, ვიწრო, მოუწყობელი დარბაზი არ იძლეოდა; ამიტომ ქალბატონმა ანგელინამ ურჩია მოსწავლეს — მშობლებს გაუმხილე შენი გატაცების ამბავი და სთხოვე ნებართვა სპორტსკოლაში ტანვარჯიშის ჯგუფში მეცადინეობისაო.

— როცა დედას გავუმხილე გულისნადები, სასტიკად გამკიცხა და სახლიდან გასვლაც კი ამიკრძალა, შინ ჩამკეტა, თვითონ კი სამსახურში წავიდა. მართალია, მშობლების დიდი ხათრი და პატივისცემა მქონდა, მაგრამ რა მექნა, ანგელინა მასწავლებელს ვერ ვუღალატებდი. აივნის მოაჯირს თოკი მივაბი, გადავიპარე ფანჯრიდან და წავედი სპორტსკოლაში. საღამოს, სახლში რომ დავბრუნდი, დედაჩემმა დამიყვავა და მითხრა: შენ ისეთი ალაჯი ხარ, შენსას არ მოიშლი და, ვიდრე კისერს მოიტეხ, ჯობს ივარჯიშოო.

დიახ, თანდაყოლილი ნიჭიერების გარდა, მტკიცე ხასიათმა და ანგელინა გაბრიაძის მონდომებამ აქცია რუსუდან სიხარულიძე დიდ სპორტსმენად.

ერთი წელიც არ იყო გასული მას შემდეგ, რაც რუსუდანმა პირველად იხილა ტანვარჯიშული იარაღები და საქართველოს პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა მრავალჭიდში. „მომავალ წელს ჩემპიონი უნდა გახდე!“ — „დაუგეგმა“ ქალბატონმა ანგელინამ და მოსწავლე-მასწავლებლის შეუპოვრობამ მართლაც გამოიღო ნაყოფი: რუსუდანმა 1965 წელს საკმაოდ დამაჯერებლად გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში და ამასთან საქართველოს ნაკრების წევრიც გახდა. ამჯერადაც ძველმა პრობლემამ შეახსენა თავი: მომავალი ჩემპიონის ოსტატობის დასახვეწად აღარც ბათუმის სპორტსკოლის არასრულფასოვანი დარბაზის იარაღი ეყოფოდა. სპორტული ფორმის შენარჩუნება მხოლოდ ნაკრების შეკრებაზე ხერხდებოდა, ეს კი წელიწადში ორჯერ-სამჯერ ხდებოდა, ამიტომ სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ხელმძღვანელებმა რუსუდანს, როგორც გამონაკლისს, არაერთი საწვრთნელი შეკრება მოუწყვეს რესპუბლიკის ტანვარჯიშის ბაზებზე. ნაკრების ხელმძღვანელობაც დიდ ყურადღებას უთმობდა ნიჭიერ გოგონას და მანაც დაუფასა ამაგი მასზე მზრუნველ ადამიანებს: მალე საკავშირო ახალგაზრდულ ნაკრებში შეიყვანეს, ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირიდან ხუთი სხვადასხვა სინჯის მედლით დაბრუნდა და მიღწეულით აღტაცებულმა ჯერ ანგელინა მასწავლებელს მიაკითხა, და შემდეგღა ახარა სასიამოვნო ამბავი მშობლებს.

და აი, დადგა რუსუდან სიხარულიძის ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამოცდის დრო: რუსუდანი გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონატზე ვარნაში, სადაც მასთან ერთად ჩვენი რესპუბლიკის მეორე წარმომადგენელი — ნინა დრონოვაც გამოდიოდა. ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა რუსუდანმა. მართალია, მრავალჭიდში მეხუთე ადგილი დაიკავა, სამაგიეროდ, თავის საყვარელ — თავისუფალ ვარჯიშში მოიპოვა ბრინჯაოს მედალი, გუნდურ პირველობაში კი ჩემპიონობა მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რუსუდანი დაოჯახდა და ვაჟიშვილიც შეეძინა. იგი ერთწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ხალიჩას, მოსკოვში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატზეც გაემგზავრა, მაგრამ...

— იმ ერთი წლის განმავლობაში, როცა მე არ გამოვდიოდი სარბიელზე, მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სპორტულ ტანვარჯიშში. ჩემი თაობის თითქმის ყველა ტანმოვარჯიშემ დატოვა სარბიელი, გამოჩნდნენ ახალი ვარსკვლავები. საქართველოს ნაკრებშიც ახალგაზრდების გვერდით მიწევდა ასპარეზობა და ვატყობდი, 4-5 წლით უმცროსებს ვერ ვუწევდი კონკურენციას. ჩვენთან ხომ ერთწლიან სხვაობასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — ვულდაწყვეტით ჰყვება რუსუდანი, — მაგრამ მას თავისი საქმე უკვე გაკეთებული ჰქონდა.

სპორტის მიტოვებით გამოწვეული უკმარისობის გრძნობის შევსების „საშუალებას“ მალე მიაგნო რუსუდანმა: სპორტული კარიერის დასრულებიდან დღემდე ნორჩ სპორტსმენებს უზიარებს თავის ცოდნას და ვამოცდილებას. ამჟამად იგი სპორტულ ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელია, რაც მთავარია, რუსუდანმა არაერთი ცნობილი სპორტსმენი დააკვალიანა და, როგორც თავად გვარწმუნებს, შორს არ არის ის დღე, როცა კვლავ გავიგებთ საქართველოს ტანმოვარჯიშეთა წარმატებების ამბებს.

უნდა ვერწმუნოთ: საქართველოში რა დალევს „მოუსვენარ“ გოგონებს, რომლებიც ტანვარჯიშის სიყვარულით მშობლების დატუქსვასა და სახლიდან გაპარვასაც არ დაერიდებიან.

ლევან ჯავახიშვილი

გული უნდა ფალავნოგდეს!



სიყვარული უკვალოდ არ ჩაივლის

ძნელია წერა 19 წლის ჰაბუკზე, რომელსაც ცხოვრებაში კუთვნილი სიხარულის მხოლოდ მცირე ნაწილი ერგო, შუა გზაზე ჩაუტყდა ხიდი, ის ხიდი, რომლის ბოლომდე გავლაც მრავალ სიკეთესა და ბედნიერებას ჰპირდებოდა.

ამირან აბუაშვილს, როგორც ყველა ქართველს, გენებში ჰქონდა ჰიდაობის უსაზღვრო სიყვარული და, კიდევ, ამირანი სოფელ გლდანიდან არის, სწორედ იმ სოფლიდან, სადაც ზოგიერთებს ჯერ კიდევ ახსოვთ ლეგენდარული კულა გლდანელის განიერი ბეჭები, მისი უბადლო საჭიდაო ილეთები და გამარჯვებები. ამიტომ ბავშვობაში ხშირად ამბობდა ამირანი: ბიჭი არ ვიყო, თუ მოჭიდავე არ გავხდეო!

ოცნება თანდათან დაიწმინდა, გასვლაზე ფიქრის საშუალებასაც არ იძლეოდა.

ნიჭიერმა შეგირდმა მალე დაუფასა ამაგი მწვრთნელებს — ანზორ ელიბაშვილს, ვახტანგ ტბილაშვილს და ვაჟა ბალხამიშვილს და არაერთი რესპუბლიკური შეჯიბრება მოიგო; ამასთან, 1986-87 წლებში ზედიზედ გაიმარჯვა საქართველოს ჩემპიონატში ქართულ ჰიდაობაში. ამას მოჰყვა ბრინჯაოს მედალი საქართველოს პირველობაზე ძიუდოში; მალე ვიოლინიუსში, საკავშირო ტურნირზე ვერცხლის მედალი მოიპოვა, პროფკავშირების რესპუბლიკური პირველობაც მოიგო. ამ დროს ამირან აბუაშვილი უკვე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. ცოტაც და, ალბათ, ბოდა მცირეოდენი შანსი ნაკრებში მოხვედრისა. ამ შეხვედრაში ჩემი მეტოქე მესტიელი არსენ ფალიანი იყო. არსენს იუკოს ვუგუბდი, ათი წამიღა იყო დარჩენილი შეხვედრის დასასრულამდე...

ამ დროს არსენ ფალიანმა ილეთი წამოიწყო — შეეცადა კისრულით წამოეღო მეტოქე, რათა მარცხისაგან ეხსნა თავი და ...

— მოულოდნელად თვალთ დამიბნელდა, გონებაც დავკარგე, — იგონებს ამირანი. — გონს როცა მოვედი, თანაგუნდელები მეზვივნენ გარს, მაგრამ ეს უკვე საავადმყოფოში იყო. როგორც მოგვიანებით გავიგე, კისრის მეხუთე მალა მქონდა მოტეხილი. ქუთაისის საავადმყოფოში ექიმებმა ხელი ვერც მომკიდეს, მხოლოდ პირველადი დახმარება აღმომიჩინეს, იმდენად მძიმე იყო ჩემი მდგომარეობა. თბილისიდან ექიმი ჩამოიყვანეს, მან რეანიმობილით თბილისში გადმომგზავნა. დამიწყეს მკურნალობა, მაგრამ რაიმე ხელშესახები და დამაიმედებელი შედეგი ამას არ მოჰყოლია, ამიტომ ჩემმა მშობლებმა სასწრაფოდ მოსკოვს გადამაფრინეს პროფესორ ლიუშიცთან. ათასგვარი სამკურნალო პროცედურის შემდეგ, რომელმაც 9 თვეს გასტანა, ოპერაცია გამიკეთეს.

როგორც შემდეგ გაიარკვა, ამირანისათვის გაკეთებული ოპერაცია იყო ყველაზე ურთულესი, რაც ლიუშიცის კლინიკის არსებობის 10 წლის მანძილზე გაკეთებულა იქ. ამ უნიკალურ ოპერაციაზე არაერთგზის დაიწერა მოსკოვის საქალაქო გაზეთებში.

ოპერაციის შემდეგ ფეხზე დადგომა შეძლო ამირანმა, მაგრამ გადაადგილებას ვერ ახერხებს, მხოლოდ ინვალიდთათვის განკუთვნილი ეტლის შეშველობით იცვლის ადგილს.

— მიუხედავად ამისა, მე კიდევ არ დამიკარგავს იმედი, რომ ტატამზე გამოვალ და კვლავ შევძლებ ერთი ილეთის გაკეთებას მაინც — მარწმუნებს ამირანი — მართალია, ძველი დატვირთვით ალრა, მაგრამ შეძლებინდავვარად მაინც ვვარჯიშობ სპეციალურ ორძელზე; მალე ალბათ ფეხზეც დავდგები, თუმცა ამისათვის საბჭოური სამედიცინო პრეპარატები და აქაური გამოცდილება არ კმარა. აუცილებელია ჩავიტარო ნემსოთერაპიის კურსები, რაზეც ჯერ ხელი არ მიმიწვდება. მკურნალობის ეს მეთოდი აზიაში, კერძოდ, ჩინეთშია დანერგილი, ნაწილობრივ ევროპაშიც. ვნახოთ, იქნებ მივაწვდინო იქამდეც ხმა.

შანამდე კი ამირან აბუაშვილს დიდ მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევს ჰიდაობის რესპუბლიკური ექსპერიმენტული ბაზა ერთიანება, პირადად მისი უფროსი ბატონი ომზარ შოშიტაშვილი.

გამახსენდა: ამირანთან გამომშვიდობებისას მისმა ძმამ მითხრა: ჰიდაობა ისე ფანატიკურად უყვარს, როცა საოპერაციო ოთახიდან გამოიყვანეს, აბოდებდა, გონდაკარგული სულ ერთსა და იმავეს გაიძახოდა: კოკა მეკუთვნოდა, კოკა მეკუთვნოდა, გამარჯვება ჩემიაო!

მჯერა, უსაზღვრო სიყვარული უკვალოდ არ ჩაივლის.

ლევან ელგუჯაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

...იმ გულისტკივილის საზღაურად

ნებისმიერი ახალი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, თუ იგი მრავალთა ინტერესებსა და მოთხოვნილებებს ითვალისწინებს, მისასალმებელია. საქართველოში, კერძოდ თბილისში, მინიფეხბურთის საკმაოდ ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს და აკი უკანასკნელ ხანს მას დიდი ყურადღება მიექცა, თითქმის ყოველ ტურნირს, რომელიც ბოლო დროს ჩატარებულა თბილისში, უამრავი მაყურებელი ესწრებოდა.

ახლახან ფოთში ჩამოყალიბდა კიდეც მინიფეხბურთის რესპუბლიკური ასოციაცია, რომელსაც კონკრეტული გეგმები აქვს დასახული სპორტის ამ სახეობის განსავითარებლად ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ უადგილო და ზედმეტი სულაც არ უნდა იყოს მინიფეხბურთის ხელშემწყობი კიდევ ერთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება.

მრავალდარგობრივ ფირმა „ნარიყალას“ ბაზაზე შეიქმნა მინიფეხბურთის პროფესიული კლუბი, რომელიც ფირმასავე სახელს ატარებს. მის მიზნებზე და პერსპექტივებზე გვესაუბრებიან ფირმის დირექტორი გოჩა მამაცაშვილი და კლუბის პრეზიდენტი ნოდარ გიგოლაშვილი.

გოჩა მამაცაშვილი: ჩვენი კლუბი, გარდა იმისა, რომ თავად ეყოლება საფეხბურთო გუნდი და მონაწილეობას მიიღებს საქალაქო თუ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში, გამართავს სხვადასხვა სახის ტურნირებს. ვიდრე კლუბი იურიდიულ სტატუსს მიიღებს, მას ფირმა დააფინანსებს, შემდეგ კი ფინანსურად მოღონიერებული საფეხბურთო კლუბი „ნარიყალა“ თავად, დამოუკიდებლად ითავებს სხვადასხვა შეჯიბრებების გამართვას. საქართველოში დღემდე არსებული მინიფეხბურთის ასოციაციებისა თუ გაერთიანებებისგან განსხვავებით, ჩვენ ჩავატარებთ მინიფეხბურთის ტურნირებს პროფესიონალ, მოქმედ ფეხბურთელთა მონაწილეობით, რაც არ გამორიცხავს მოყვარულთა შეჯიბრებების მოწყობასაც. ამ თვეში ჩატარდება უახლესი ტურნირი, რომელშიც რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქების გუნდები მიიღებენ მონაწილეობას.

ნოდარ გიგოლაშვილი: დავძენ, რომ ჩვენს კლუბს კეთილგანწყობილი ურთიერთობა ექნება ფეხბურთის ფედერაციასთან და მინიფეხბურთის რესპუბლიკურ ასოციაციასთან. თუ მივაღწევთ მათთან შეთანხმებას, ჩვენ გავმართავთ ერთობლივ შეჯიბრებებს. გვსურს, აგრეთვე, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლესი ჯგუფის გუნდების მონაწილეობით მოვაწყოთ დიდი ტურნირი. რა თქმა უნდა, მაშინ, როცა ამ გუნდებს არდადეგები ექნებათ. ეს ორმხრივ ხელსაყრელია — ფეხბურთელები შეინარჩუნებენ სპორტულ ფორმას და გულშემატკივრებიც მადლიერები დაგვრჩებიან. ამგვარი ტურნირები, მოგეხსენებათ, უცხოეთში კარგა ხანია იმართება: გერმანიაში, ესპანეთში, საფრანგეთში...

თბილისის პირველობას მინიფეხბურთში უბნებს შორის, როგორც წელს, შემდგომშიც ფირმა „ნარიყალა“ და მასთან შექმნილი ჩვენი კლუბი უხელმძღვანელებს. ყველაფერთან ერთად კლუბი საქველმოქმედო საქმიანობასაც გასწევს. ტურნირიდან მიღებული თანხის მნიშვნელოვან ნაწილს მოვახმართ სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოების საქმიანობას, კერძო პირებს და სხვა. აგრეთვე გვსურს, რომ მომავალში საქართველოში ჩამოყალიბდეს პროფესიონალ მინიფეხბურთელთა კავშირი ან ფედერაცია, რომელსაც ექნება საქალაქო რეგიონალური და რაიონული ორგანიზაციები. ეს ყველაფერი საშუალებას მოგვცემს მინიფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია, რომელიც უთუოდ უნდა შეიქმნას, გახდეს საერთაშორისო ფედერაციის წევრი. ეს ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებისთვის იმ გულისტკივილის ერთგვარი ანაზღაურება იქნება, რომელიც გამოწვეულია ქართული ფეხბურთის დროებითი კარჩაკეტილობით.

ვფიქრობთ, ჩვენი მიზნები არ არის ურიგო. მისი განხორციელება სასიკეთოდ წაადგება როგორც მინიფეხბურთის, ასევე, საერთოდ, ქართული ფეხბურთის განვითარებას, ამისათვის კი, უპირველესად, საზოგადოებრიობისა და სპორტის ქართველი გულშემატკივრების მხარდაჭერის იმედი გვაქვს.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ზიკოს უმნიშვნელოვანესი „მატჩი“

როგორც ბრაზილიელი მიმომხილველები აღნიშნავენ, ქვეყნის მთავრობის წევრმა, სახელმწიფო მდივანმა სპორტის საკითხებში არტურ ანტუნეშ კოიმბრამ, ახლო წარსულში სახელგანთქმულმა ფეხბურთელმა ზიკომ, სულაც არ დაკარგა თავისი „სპორტული ფორმა“. ის „მატჩი“, რომელსაც იგი ახლა იწყებს, არა მარტო უმნიშვნელოვანესი იქნება მთელი მისი კარიერის მანძილზე, არამედ მძიმე და ხანგრძლივიც. საქმე ეხება ბრაზილიის საფეხბურთო მეურნეობის სრულ, ძირეულ გარდაქმნას, რასაც ესოდენ ეწინააღმდეგებიან პროფესიული კლუბები. ისინი ყველაფერს გააკეთებენ, რათა შეინარჩუნონ თავიანთი ახლანდელი პრივილეგიები.

— მაინცდამაინც გაოცებული როდი ვარ, როცა ესოდენ გააფთრებულ წინააღმდეგობას წავაწყდი — ამბობს „ფლამენგოსა“ და ბრაზილიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი — მე ხომ მათ პრივილეგიებს შევეხე, კასტის უფლებებს, რომელიც არქაულ კანონებს ემყარება და, გასაგებია, ამას ცხარე რეაქციაც მოჰყვა.

პროექტს, რომელიც ბრაზილიის ფეხბურთში კორუფციის ამოძირკვას გულისხმობს, ზიკო მთელი 4 თვის განმავლობაში ამზადებდა, იგი იტალიის, ესპანეთის, პორტუგალიის, საფრანგეთისა და ინგლისის საფეხბურთო ორგანიზაციების გამოცდილებას ემყარებოდა. ბოლოს, იტალიური მოდელზე შეჩერდა, რომელიც პროფესიულ ფეხბურთში საუკეთესოდ მიიჩნია. კლუბები დამოუკიდებელი სპორტული ორგანიზაციები ხდებიან, რომელთა საქმეებში სხვადასხვა საეჭვო „მოღვაწეები“ ხელს ვეღარ აფათურებენ. ერთი სიტყვით, ფეხბურთს ჩამოსცილდებიან სხვადასხვა ჯურის საქმოსნები..

რა თქმა უნდა, გასაოცარი და ექსტრავაგანტური ზიკოს პროექტში არაფერია, მაგრამ მან მაინც გარკვეული წრეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ზიკოს მოწინააღმდეგეები, ცხადია, სრულიად დაუსაბუთებლად იმასაც კი წერენ, რომ ამ პროექტის განხორციელება ბრაზილიას დააძაბუნებს, როგორც ფეხბურთის ქვეყანას.

თუმცა, ზიკოს მოკავშირეც გამოუჩნდა. ეს გახლავთ, არც მეტი, არც ნაკლები, ქვეყნის ახლანდელი პრეზიდენტი ფერნანდო კოლორ დი მელუ. დი მელუ ფეხბურთის დიდი / გულშემატკივარია, ხშირად ესწრება მატჩებს. იგი მიიჩნევს, რომ ბრაზილიური ფეხბურთი დიდ რეფორმებს საჭიროებს. ასე რომ, ზიკოს პროექტს წარმატების გარკვეული შესაძლებლობაც გააჩნია.

რეკორდები ინგლისის ლიგაში

საუკუნეზე მეტია, რაც ტარდება ინგლისის ჩემპიონატი ფეხბურთში. ბუნებრივია, ამ ხნის მანძილზე ბევრი საყურადღებო მიღწევა დაფიქსირდა. ბევრ ფეხბურთელსა თუ კლუბს ეკუთვნის თავისებური რეკორდი, რომელიც დღესაც განაცვიფრებს გულშემატკივართ.

ლიგის ჩემპიონთა შორის პირველი რეკორდი დაამყარა „პრესტონ ნორს ენდმა“. ჩემპიონს არც ერთი თამაში არ წაუგია: 22 მატჩიდან 18 მოიგო და 4 ფრედ დაასრულა (1888 წელი I ჩემპიონატი). ჩემპიონთა შორის ყველაზე მეტი გოლი აქვს გატანილი „არსენალს“ — 127 (1930-31 წ.წ.) საერთოდ კი, რეკორდი ეკუთვნის „ასტონ ვილას“ — 128 გოლი ერთ სეზონში.

მხოლოდ სამმა კლუბმა შეძლო გამხდარიყო ჩემპიონი ზედიზედ სამი წლის განმავლობაში: „პადერფილდ თაუნმა“ 1924-25-26 წლებში, „არსენალმა“ 1933-34-35 წლებში და „ლივერპულმა“ 1982-83-84 წლებში.

ყველაზე მეტი თამაში ეროვნულ ჩემპიონატში ჩაატარა ტენი პეინმა — 824 (1957-77 წ.წ.). აქედან მას, 713 მატჩში „საუთჰემპტონის“ მაისური ეცვა, ხოლო 111-ში — „ჰერეფორდის“.

1946-65 წლებში მოთამაშე არტურ როულეის გატანილი აქვს ყველაზე მეტი — 434 გოლი.

ევერტონელმა დინმა ერთ სეზონში 60 გოლის გატანა შეძლო (I დივიზიონი, 1927-28 წ.წ.).

აი, „ლუტონ თაუნის“ თავდამსხმელმა პეინმა კი პირდაპირ საოცრება მოახდინა — მან ერთ მატჩში 10 გოლი გაიტანა „ბრისტოლ როუვერსის“ კარში. თამაშის საბოლოო შედეგი კი 12:0-ია (III დივ. 1936 წ.).

ყველაზე მეტი მაყურებელი ლიგის ისტორიაში „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ შეხვედრას დაესწრო. იმ დღეს „მეინ როუდის“ სტადიონზე 83 260 გულშემატკივარი მოვიდა (17 იანვარი, 1948 წ.).

ინგლისის ლიგის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელები იყვნენ ალბერტ ჯელდარდი „ბრედფორდ პარკ ავენიუდან“ (II დივ. 1929 წ. 16 სექტემბრის მატჩი „მილვეის“ წინააღმდეგ) და კენ რობერტსი „რექსჰემიდან“ („რექსჰემი“-„ბრედფორდი“, III დივ. 1951 წ. 3 სექტემბერი). ამ ფეხბურთელებმა 15 წლის ასაკში ჩაიცვეს თავიანთი კლუბის მაისური.

აი, ნილ მაკბაინმა მაშინ დაიწყო თამაში მეკარედ, როდესაც იგი 52 წლისა და 4 თვის იყო. საყურადღებოა, რომ იგი „ნიუ-ბრიგტონის“ მენეჯერიც იყო. (III დივ. 1947 წ.)

ყველაზე მეტი გოლი სტუმრად გატანილი აქვს „არსენალის“ თავდამსხმელს ტედ დრიკს. 1935 წლის 14 დეკემბერს „არსენალმა“ სტუმრად ანგარიშით 7:1 დაამარცხა „ასტონ ვილა“. შვიდიდე (!) გოლი ტედ დრიკმა გაიტანა.

ლიგის ყველაზე უხუცესი გუნდია „ნოთს ქაუნთი“, რომელიც 1862 წელს დაარსდა.

„ნოტინგემ ფორესტმა“ ზედიზედ 42 თამაში ჩაატარა დაუმარცხებლად, 21 თამაში მოიგო და 21 თამაში ფრედ დაასრულა. ეს ხანგრძლივი სერია ერთ წელიწადსა და ერთ თვეს გრძელდებოდა (I დივ. 1977 წ. ნოემბრიდან — 1978 წ. დეკემბრამდე).

1967-68 წლების სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშებზე საშუალოდ 57758 მაყურებელი მიდიოდა. ეს ყველაზე დიდი მაჩვენებელია.

„ასტონ ვილამ“, როდესაც 1980-81 წლებში ლიგის ჩემპიონი გახდა, მხოლოდ 14 ფეხბურთელი გამოიყენა მინდორზე. აქედან შვიდმა მთელი სეზონი შეუცვლელად ჩაატარა.

ყველას მივაგოთ ღირსეული

ამას წინათ გაზეთმა „სოვეტსკი სპორტმა“ მკითხველს ამცნო, რომ მოსკოვში აღიმართება ლეგენდარული ფეხბურთელის ედუარდ სტრელცოვის ქანდაკება...

დიდ სპორტსმენებს ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში მიაგებენ ღირსეულს — უკვდავყოფენ მათს ხსოვნას, სიცოცხლეშივე უდგამენ ძეგლებს. ფინეთში აღმართულია ოლიმპიური ჩემპიონის პაავო ნურმის ძეგლი; იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილი კაპიტნის ჯაინტო ფაკეტის ბიუსტი ჯერ კიდევ მაშინ დაიდგა, როცა იგი ფეხბურთს თამაშობდა; სომხეთში ობელისკია აღმართული იმ ადგილას, სადაც საავტომობილო კატასტროფაში დაიღუპა „არარატის“ ყოფილი ფეხბურთელი ფურმან აბრამიანი... მსგავსი მაგალითების მოყვანა უსასრულოდ შეიძლება.

ჩვენში კი რა კეთდება დიდ ქართველ სპორტსმენთა სახელების, მათი ბრწყინვალე გამარჯვებების უკვდავსაყოფად? — თითქმის არაფერი! თუმცა ამ ბოლო დროს თითქოსდა გამოსწორდა მდგომარეობა: ანდრო ჟორდანიას სახელი მიენიჭა დიღმის საწვრთნელ ბაზის, ბორის პაიჭაძის სახელი — ყოფილ „დინამოს“ სტადიონს; უკვე გვაქვს შოთა იამანიძის სახელობის პატარა ქუჩა. მაგრამ ეს არ კმარა! რატომ არ უნდა იდგეს ბორის პაიჭაძის ძეგლი მისსავე სახელობის სტადიონზე (ან სადმე სხვაგან)? რატომ არ უნდა გვქონდეს იმავე ბორის პაიჭაძისა და ანდრო ჟორდანიას სახელობის ქუჩები?

მგონი, ყველას კარგად გვესმის, რომ სპორტი, პირველ რიგში, ფეხბურთი, ქართველებისათვის არასოდეს ყოფილა მხოლოდ გასართობი, თვალსასაჩინო სანახაობა. ჩვენმა მწვრთნელებმა და სპორტსმენებმა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის საქმე გააკეთეს. იმ დროს, როცა ლიტერატურას, ხელოვნებას ხუნდები ედო, სწორედ სპორტს გაჰქონდა საქვეყნოდ საქართველოს დიდება და გვინერგავდა ჩვენი ჯიშის ძლიერების რწმენას. განა დღეს კი არ იძლევიან ქართველი ფეხბურთელები პატრიოტიზმის მაგალითს! გავიხსენოთ ლანჩხუთის „გურიის“ ფეხბურთელთა კატეგორიული !განცხადება შარშანდელი სეზონის დამდეგს იმის თაობაზე, რომ ისინი მხოლოდ ეროვნულ ჩემპიონატში ითამაშებდნენ; გავიხსენოთ სოხუმის „ცხუმის“ მოთამაშეთა ქუშმარიტად მამულიშვილური გადაწყვეტილება. ან რატომ არ ვაფასებთ ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელების საქციელს, რომელნიც უარს ამბობენ (მიუხედავად „ცენტრიდან“ გამოგზავნილი ათასნაირი მაცდუნებელი წინადადებებისა), საშშობლოს დატოვებაზე, რუსეთის ან უცხოეთის გუნდებში თამაშზე, ევროპულ ტურნირებში მონაწილეობისა და დოლარებით ანაზღაურებულ ხელფასზე? იქნებ გვგონია, რომ მოსკოვის, კიევის ან, თუ გნებავთ, საზღვარგარეთული კლუბები უარს ეტყვიან ისეთ ნიჭიერ ახალგაზრდებს, როგორნიც არიან კახა ცხადაძე, თემურ ქეცბაია, მიხეილ ჯიშკარიანი და კიდევ არაერთი სხვა?!

დიდი ‚ქართველი‘ სპორტსმენის დამსახურების დაუნახაობა დანაშაულის ტოლფასია. ამიტომ ღირსეულად უნდა დავაფასოთ ყველაზე სახელოვანი ქართველი მწვრთნელის ანდრო ჟორდანიასა და ყველაზე სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის დამსახურება. ეს იქნება საერთოდ ფეხბურთის, ყველა ‚ქართველი ფეხბურთელის აღიარება.

და კიდევ: ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდი გამარჯვება არის ევროპის თასების მფლობელთა თასის მოპოვება. სამწუხაროდ, უკვე დიდი ხანია, ცოცხალი აღარ არის ფეხბურთელი, ვინც გამარჯვების მომტანი ულამაზესი გოლი გაიტანა იმ დაუვიწყარ მატჩში. ჩვენ აუცილებლად უნდა უკვდავყოთ ვიტალი დარასელიას სახელი.

თეიმურაზ მირიანაშვილი



პელე გზას ულოცავს შვილს

ეს ფოტო გადაღებულია ბრაზილიის ქალაქ სანტოსში, ამავე სახელწოდების ადგილობრივ სტადიონზე. „ფეხბურთის მეფე“ — ედსონ არანტეს დო ნასიმენტო, განთქმული პელე, ამ კლუბში 17 წლის განმავლობაში გამოდიოდა; ახლა კი იგი გზას ულოცავს თავის შვილს, 20 წლის მეკარე ედინიოს, რომელმაც ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი მამის მშობლიურ კლუბთან — „სანტოსთან“.

რეიტერ- საკდენის ფოტო.

„არსენალი“ 1919 წლიდან თამაშობს პირველ დივიზიონში.

„ევერტონმა“ 1931 წელს გაიმარჯვა მეორე დივიზიონში. 1932 წელს გახდა ლიგის ჩემპიონი, ხოლო 1933 წელს თასს დაეუფლა. ესეც თავისებური რეკორდია.

ლევან ახვლედიანი,
მ. კაკაბაძის სახელობის სტუდიის მსმენელი.

ტრაგედია სტადიონზე

სულ ცოტა 40 ადამიანი დაიღუპა და 50 მძიმედ დაშავდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოპულარული გუნდების „კაიზერს ჩიმფისა“ და „ორლანდო პაირეტსის“ ფეხბურთელთა მატჩში გულშემატკივართა შორის მომხდარი ხელჩართული ბრძოლის დროს.

მომდინარეობდა შეხვედრის 30-ე წუთი, როცა მსაჯის გადაწყვეტილებით უკმაყოფილო „ორლანდო პაირეტსის“ გულშემატკივრები თავს დაესხნენ „კაიზერს ჩიმფის“ მომხრეებს, მოწინააღმდეგეები იყენებდნენ ყველაფერს, რაც კი ხელთ მოხვდებოდათ.

ინციდენტი მოხდა ქალაქ ორკნის სტადიონზე, — იოჰანესბურგიდან 150 კილომეტრის დაცილებით. ტრიბუნები პანიკამ მოიცვა, მაყურებლებმა გასასვლელს მიაშურეს, ვიწრო კარებმა ვერ დაიტია უამრავი ხალხი, ჭყლეტას ახალი მსხვერპლი მოჰყვა.

როგორც პოლიციის წარმომადგენლებმა განაცხადეს, ინციდენტს პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონია, ყველაფრის მიზეზია მაყურებელთა უსაფრთხოების დაცვის არაორგანიზებულობა.

გთხოვთ უგზავნოთ იტალიის ნაკრებისა და ამავე ქვეყნის საფეხბურთო კლუბ „მილანის“ მოთამაშე პაოლო მალდინი.

ბეჟა ამილახვარი,
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი.

პაოლო მალდინი დაიბადა 1969 წელს. მისი საფეხბურთო ნიჭი სრულად 1988 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატში გამომჟღავნდა. სპეციალისტებმა სწორედ ამ ჩემპიონატის შემდეგ აღიარეს იგი ვარსკვლავად.

მილანში მალდინის გვერდით თამაშობენ ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან: ტასოტი, კოსტაკურტა, ბარეზი, რაიკაარდი, დონადონი, ანჩელოტი, გულიტ, ვან ბასტენი, ევანი, სტროპა, კოლომბო, მასარო, სიმონე. ცხადია, შემთხვევითი არ არის, რომ ამ გუნდმა თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია — 1990 წელს მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და სუპერთასი, გაიმარჯვა საკონტინენტთაშორისო თასის მატჩშიც.

დაუმარცხებლად...

საშობაო არდადეგებმა დასაბამი მისცა ახალი სპორტული სეზონის სტარტებს. სხვებთან ერთად ჩვენმა ჭაბუკმა წყალბურთელებმაც „გახსნეს სეზონი“.

მინსკში რუსპუბლიკების ნაკრებ გუნდებს შორის გამართულ შეჯიბრებაში (მონაწილეობდნენ 1976 წელს დაბადებული წყალბურთელები) თავი გამოიჩინა საქართველოს ნაკრებმა, რომელიც, ძირითადად, დაკომპლექტებული იყო საქართველოს განათლების სამინისტროს ოლიმპიური რეზერვის სპეციალიზებული წყალბურთის სპორტული სკოლის აღზრდილებით. გუნდში თითო-თითო სპორტსმენი იყო ქუთაისიდან და ბათუმიდან.

თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ბელორუსიის დედაქალაქში საბჭოთა კავშირის უძლიერესმა (აღნიშნული ასაკის) წყალბურთელებმა მოიყარეს თავი. მიუხედავად ამისა, ჩვენმა წარგზავნილებმა დაუმარცხებლად იასპარეზეს — დაამარცხეს რსფსრ-ის (12:7), უკრაინის (15:2), აზერბაიჯანის (10:6), ბელორუსიის (9:6) გუნდები, მხოლოდ კრასნოდარის მხარის ნაკრებთან დაამთავრეს შეხვედრა ფრედ (7:7) და პირველი ადგილი დაიკავეს.

გარდა ამისა, საუკეთესო მეკარის პრიზი დაიმსახურა ნუგზარ კეჟერაშვილმა, თავდამსხმელისა — ირაკლი შარაშიძემ.

გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ნუგზარ კეჟერაშვილი, გელა პეტრიაშვილი, კახა დარსაველიძე, ვადიმ ივანოვი, ენრიკო შათაშვილი, ირაკლი შარაშიძე, გიორგი ამზიანი, დმიტრი გუბელაძე, ზაზა თოდუა, დავით ჭოქინაძე, გიორგი მინესაშვილი, დავით ვასაძე, ლევან აბრამიძე, ირაკლი ბოკუჩავა, კახა კალატოზიშვილი, გუნდის მწვრთნელია დავით ჩერქეზიშვილი.

სურათზე: ტურნირში გამარჯვებული საქართველოს ნაკრები.

ლევან ჯაბაძე

ავტორის ფოტო.

ვეტერანი რეკორდსმენი

ინგლ. ბრაზილიელ კალათბურთელს ოსკარ შმიდტს პოპულარობა და სახელი არასდროს აკლდა. მარტო ის რად ღირს, რომ ამ 32 წლის ვეტერანმა შარშან, ბუენოს-აირესის მსოფლიო ჩემპიონატზე საუკეთესო ბომბარდირის პრიზი დაისაკუთრა. ოსკარ შმიდტს, რომელიც 11 წელიწადია იტალიის სხვადასხვა კლუბებში თამაშობს, დაუმთავრდა კონტრაქტის ვადა კაზერტას „ფენოლასთან“ და ახალი ხელშეკრულება გააფორმა ჭალაქ პავიას „ფერნეტ ბლანკასთან“.

ვეტერანის ამ გადაწყვეტილებამ სპეციალისტთა გაკვირვება გამოიწვია ჯერ ერთი იმის გამო, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრებისთანავე შმიდტმა რამდენიმე, როგორც ამბობენ, ხელსაყრელი წინადადება მიიღო ესპანური კლუბებისგან, მან კი იტალიაში დარჩენა ამჯობინა. მეორეც, რაც არანაკლებ გაკვირვებას იწვევს, შმიდტის მიერ ჯრჩეული კლუბი „ფერნეტ ბლანკა“ იტალიის ჩემპიონატის მეორე ლიგაში ასპარეზობს, მაგრამ ბრაზილელ კალათბურთელს ამბიციები, როგორც ირკვევა, არ აწუხებს.

რამდენიმე დღის წინ შმიდტის კლუბმა კალენდარულ მატჩში დაამარცხა „მესინა“. ეს შეხვედრა ბრაზილიელისთვის ორმხრივ მნიშვნელოვანი გამოდგა: ერთი რომ, მან თავის გუნდს შესძინა 51 ქულა და ჩეორეტ, მატჩის შემდეგ შმიდტი იტალიის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი გახდა—9 წლის მანძილზე მოაგროვა 9795 ქულა. ძველი რეკორდიც ასევე იტალიაში მცხოვრებ უცხოელ კალათბურთელს, ამერიკელ ბობ მორსს ეკუთვნოდა (9785 ქულა), ოღონდ ეს შედეგი შმიდტისგან განსხვავებით 11 სეზონის მანძილზე ჰქონდა ნაჩვენები.

ინფორმაცია

უკრაინის იუსტიციის სამინისტრომ რეგისტრაციაში გაატარა „უსპუბლიკის საფეხბურთო რეპორტიორთა ასოციაცია, რომლის დამფუძნებლები არიან გაზეთი „მოლოდ უკრაინი“ და სხვა გამოცემები.

ასოციაციის მიზანია დაეხმაროს ეროვნული პირველობის ჩატარებას, ჟურნალისტებისა და სპორტული კონტრაქტების საერთაშორისო განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს საერთოდ ფეხბურთის, კერძოდ, ბავშვთა და ჭაბუკთა ფეხბურთის განვითარებას უკრაინაში, დაეხმარება სპორტულ ჟურნალისტებს მათი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციაში, დაიცავს მათს პროფესიულ უფლებებს.

● **1974 და 1978** წლების მსოფლიო ჩემპიონატების ფინალისტი, ჰოლანდიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი იოჰან ნეესკენსი ახლო მომავალში შესაძლოა ესპანეთის „ბარსელონას“ მეორე მწვრთნელი გახდეს. ახლა ნეესკენსი შვეიცარიის II ლიგის „ზუგს“ წვრთნის. მისი ხელმძღვანელობის და ჩეზოსლოვაკიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველის იან ბერგერის ჩინებული თამაშის წყალობით გუნდი იანრჩუნებს I ლიგაში გადასვლის შანსს. „ბარსელონას“ მწვრთნელი, ნეესკენსის მეგობარი იოჰან კრუიფი დაინტერესდა თავისი პარტნიორით და დაჟინებით ეპატიჟება თავის გუნდში.

რედაქტორის მოადგილე
თამაზ მიგრიაული

ედგომარეობა გათანაბრდა

გაიმართა კალათბურთში ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების მორიგი მატჩები.

პირველ ჯგუფში მოსკოვის დინამოელებმა შინ იტალიის „კოორი“ (ბოლონია) დაამარცხეს 98:78. საფრანგეთის „შოლემ“ კი პორტუგალიის „ოვერის“ აჯობა 99:73.

	თ.	მ.	წ.	ჭ.
„შოლე“	4	3	1	7
„დინამო“	4	3	1	7
„კნორი“	4	2	2	6
„ოვერი“	4	0	4	4

მეორე ჯგუფში პირველი დამარცხება განიცადა ერთპიროვნულმა ლიდერმა სარაგოსას (ესპანეთი) კაი-მ. მას საბერძნეთის პაოკმა აჯობა — 112:102. იუგოსლავიის „ცრვენა ზვეზდამ“ შინ დიდის გაჭირვებით მოუგო ისრაელის „ჰაპოელს“ — 108:101.

პაოკი	4	3	1	7
კაი	4	3	1	7
„ცრვენა ზვეზდა“	4	1	3	5
„ჰაპოელი“	4	1	3	5

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის პირველი ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 723.514 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამიტომ, პირველი ჯგუფის მოსაგები ფონდი გადადის მეორე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდში. 5 ნომრის გამოცნობისთვის (14) მოგება 3.174 მანეთია, ოთხისთვის (970) — 117, სამისთვის (2.736) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 8.719 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—11, 3—34.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 11.768.154 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (27) მოგება 13.075 მანეთია, ოთხისთვის (4.922) — 107, სამისთვის (146.823) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 277.834 ვარიანტი. 5—2, (თბილისი), 4—121, 3—3.451.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1991 წლის პირველი ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 1.530.733 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (38) მოგება 1.342 მანეთია, 11 შედეგის გამოცნობისთვის (1,438) — 141 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 65.979 ვარიანტი. 13—0, 12—2, 11—41.

პირველი ტირაჟის მოგებები გაიცემა 1991 წლის 26 იანვრიდან 26 თებერვლის ჩათვლით.

• • •

მეორე ტირაჟის შედეგები

(12-13 იანვარი)

1—2, 2—3, 3—X, 4—2, 5—X, 6—1, 7—1, 8—X, 9—2, 10—X, 11—X, 12—2, 13—X.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

პირველი და 1990 წლის 44-ე — 1991 წლის პირველ ტირაჟამდე მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 26 იანვრიდან 26 თებერვლის ჩათვლით.

„6X45“-ში გამოქვეყნებული ცნობა 3 ნომრის გამოცნობისთვის ეხება მხოლოდ იმ 10-ტირაჟიან ბილეთებს, რომლებიც თამაშობენ მე-9 ტირაჟამდე.

• • •

„სპორტპროგნოზი“

„C-13“ სპეციალური ტირაჟის შედეგები

(31.12.90 — 15.01.91)

1—2, 2—2, 3—1, 4—X, 5—2, 6—1, 7—X, 8—1, 9—2, 10—2, 11—2, 12—X, 13—2.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს. მხედველობაში მიღებულია მხოლოდ ძირითად დროში ნაჩვენები შედეგები.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

გოლფი პრეზიდენტის ოჯახში

გოლფი ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ოჯახში საყვარელ სპორტის სახეობად ითვლება. თვით ბუშს, მსოფლიოში მოზდარი დრამატული მოვლენებიც კი არ უშლის ხელს, სისტემატურად მისდიოს სპორტის ამ სახეობას. პრეზიდენტის პაპა ჯორჯ ჰარბერ უოკერი აშშ-ის გოლფის ფედერაციის პრეზიდენტი იყო. მანვე დააარსა „უოკერის თასი“, რომელსაც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ეცილებიან ერთმანეთს აშშ-ისა და ინგლისის მოყვარულ გოლფის მოთამაშეთა ნაკრები გუნდები.

„ბამბი“ — ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲣᲠᲔᲑᲘ

ყოველწლიური ჯილდო „ბამბი“ მიეკუთვნებათ „ყველაზე უფრო სიმპათიურ“ გერმანელ სპორტსმენებს. ეს შრიზი ახლახან გადასცეს მძლეოსან კატრინ კრაბესა და ცნობილ მწვრთნელს ფრანც ბეკენბაუერს.

ჯილდო „ბამბი“ დაწესებულია 1949 წლიდან. უკანასკნელ წლებში მისი მფლობელები იყვნენ: ზეელერი, შიტერმაიერი, რუმენიგე, მაიფარტი, ბეკერი, გრაფი, ლანგერი, ვიტი და ნიჩბოსანთა გუნდი.

ᲑᲔᲚᲛᲝᲜᲓᲝ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ — 1

პოლ ბელმონდო ცნობილი მსახიობის ჟან-პოლ ბელმონდოს შვილია. იგი მამის კვალს არ გაჰყოლია. — ფორმულა 1-ის პილოტი გახდა. პოლმა კონტრაქტი დადო იტალიურ გუნდ „ოსელასთან“ და შარშან რამდენიმე შეჯიბრებაშიც მონაწილეობდა. მართალია, ახალგაზრდა ბელმონდოს ჯერ შესამჩნევი წარმატებისთვის არ მიუღწევია, მაგრამ, როგორც ექსპერტები ფიქრობენ, მისი სპორტული კარიერა მხოლოდ ახლა იწყება. ამავე დროს, მისი განთქმული მამის სახელი ფორმულა 1-ის შეჯიბრებებს უდავოდ პოპულარობას შემატებს.

ახალგაზრდა ბელმონდო წელს მონაწილეობას მიიღებს შეჯიბრებაში ბელგიის დიდ პრიზზე, რომელიც ფრიად ავტორიტეტულ ასპარეზობად ითვლება.

„ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲜᲐᲕᲠᲐᲢᲘᲚᲝᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲤᲘ“

77 წლისა გარდაიცვალა ომამდელი ჩოგბურთის ვარსკვლავი ალისა მერბლი, რომელმაც 1939 წელს გაიმარჯვა უიმბლდონში და ოთხგზის (1936, 1938, 1939, 1940 წლებში) — აშშ-ს ღია ჩემპიონატში. იყო დრო, როცა იგი მსოფლიოში № 1 ჩოგბურთელ ქალად ითვლებოდა.

აი, რა თქვა მერბლის შესახებ ჩოგბურთის ისეთმა აღიარებულმა ექსპერტმა, როგორიც ჯერ კრამერია: „ალისა თავის დროზე ისეთივე აგრესიულ ჩოგბურთს თამაშობდა, როგორსაც არც ისე დიდი ხნის წინათ, ბილი ჯინ-კინგი, ახლა კი მარტინა ნავრატილოვა და შტეფი გრაფი. იგი ნამდვილად დიდი ჩოგბურთელი იყო“.

ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ზ. კახაძე, კორექტორები ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
წერილებისთვის — 380098
თბილისი, 8. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„ᲗᲔᲠᲘᲜᲘ“ — 93-97-26, „ᲛᲐᲠᲗᲕᲐ“ — 93-97-27.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲘᲜᲓᲔᲥᲡᲘ
66435

საქართველოს ეროვნულ-გაზეთების გამომცემლობა „საქართველოს“ ხტამბა. 380009, თბილისი, 8. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, საგაზეთო კორპუსში, ხიშარიულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20